ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3742833

ნომერი: AR1564192

თარიღი : 13.12.2017

გაცემის თარიღი : 19.12.2017

გაცნობის თარიღი : 20.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე სასტ."უშბა"-ს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ასათიანი პ/ნ 01008015455
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო-გასართობი და საზოგადოებრივი კვების ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი მარგალიტაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "დოკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205048650

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გურამ ასათიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008015455

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 07/65648-13
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.11.2008

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6016
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.12.2010

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ხელახლა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 12 დეკემბრის AR1564124 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
1. დამკვეთის ველში მიეთითოს ორგანიზაცია და მისი საიდენტიფიკაციო კოდი.
2. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკის საფუძველი ან საჭიროების შემთხვევაში იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
3. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნაგობის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში აღნაგობის უფლების მქონე პირის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
4. სატიტულო ინფორმაცია. -> .საიდენტიფიკაციო კოდი.: ველში დააფიქსირეთ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი სწორად;
5. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ვინაიდან არსებული სიტუაციის ფოტოებიდან დგინდება, რომ მშენებარე შენობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, და არ იყო განხორციელებული შენობის კონსერვაცია, საჭიროა წარმოადგინოთ (ფაილის მიმაგრების ველში) კონსტრუქციული დასკვნა მშენებარე შენობის ტექნიკურ მდგომარეობასა და მშენებლობის პროცესში მასზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული დადებითი (ან უარყოფითი) საბოლოო დასკვნა. ასევე, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, დიპლომს, სამუშაო გამოცდილებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
6. .მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ველში დამატებით ჩაწერეთ (ნ/1832 - 05.12.2008) (№1124908 - 14.02.2014)
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.